აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
2018 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. უმაღლესი საბჭოს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვროს 4 846,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) ხარჯები 4 831,8 ათასი ლარი:

ა.ა) შრომის ანაზღაურება 3 464,0 ათასი ლარი;

ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა 15,0 ათასი ლარი.

3. უმაღლესი საბჭოს მომუშავეთა რიცხოვნება განისაზღვროს 125 საშტატო ერთეულით.

4. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული თანხები გათვალისწინებული იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში.

5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ჩაქვი
2017წლის 18 მაისი
№42-უ.ს.გ.ს